სუკუნეების მანძილზე საქართველოს შვი ზღვისპირა პორტები რუსეთის და თურქების ინტერესების სფეროში შედიოდა. 1918 წლის 26 თებერვალს ამიერკავკასიის სეიძის სხდომაზე ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა, რომ შავს ზღვისპირა პორტები ჩვეულებრივ იფევა, რაც რუსეთისთვის პეტროგრადი, სმირნა ოსმალეთისთვის. ეს არის ერთადერთი გასავალი ზღე ზღვაში და მხოლოდ ამის წყალობით ამიერკავკასიის კულტურულად და ეკონომიკურად განვითარების შეძლება მიეცა, საზოგადოდ ის ევროპის კულტურულ ქვეყანას დაემსგავსა.

1914 წელს ვაჟა-ფშაველა წერილში „პოლიტიკური მსჯელობა“ რუსეთთან მიმართებაში იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუ რუსეთი ეხლავა, ამთავით რასმე მოგვეყვს და რეგორმებს შემიძლებს ჩვენში, ხომ კარგი, თუ არადა შეძლებ ჩვენ ვეღარას ვეღარისთვის და არც არაფერს ვეღარისთვის. ამიერიდან რუსეთი ვინაშე მთავ თანდათან და ნამდვილის, ჭეშმარიტი ძლიერებით შეიძლება შეიძოსოს. მაშინ უფრო გავიჭვინდებ ჩვენ მასთან ბრძოლა და ამიტომ ვდრე სნეული ღვინში წვესო, ხომ გავიჭვინა? და იქვე დასტეს-გამოინდა და ვერც არის სწორი. [ვაჟა-ფშაველა 2011:293]

დასკვნის სახით შეიძლება წარმოგვიჩინოთ ვაჟა-ფშაველას წერილი: რა არის თავისუფლება? სადც იგი ამბობს, რომ დღედის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მღლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით, ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება. თავისუფლება ცოცხლებით არის არის ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის მიღმა-მისწრაფებაში. თავისუფლება მოქმედება, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძობისა და არა განსვენება, უწყვედი ფუნადავისუფლება პიროვნებისა და ერის ერთიანობის მჭიდროდ არის დაკავშირებული. თავისუფლება ხალხისთვის მტარვალ-თავან წარითმული ბედნიერება. დღეს საქართველოში მწკვედ დვას ომის და მშვიდობის საკითხი. ამხე უფრო მძიმე მდომარეობაში ვყოფილართ, გამოვსულვართ და ფეხზე დავმდგარეთ. დღეს მოავრა სხვისი მიზნებზე გამოძინარე, არ გავხდეთ ზვარაყად შესაწირი ხალხი.

# პროფესორ იური სიხარულიძის პირადი არქივიდან



ადარ გვყავს იური სიხარულიძე. მაინც რა უღობებელია წუთისოფელი. სიცოცხლეში სათანადოდ ვერ დავაფასეთ და სიკვდილის შემდეგ ვერც დავიტირეთ. ბათუმელმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ იური სიხარულიძეს 80 წლის იუბილე აღვნიშნეთ, მოვეფერეთ და მასზე წიგნი გამოვაქვეყნეთ. ველოდებით ამგადარი მამულიშვილის ხსნოვნის უკვდავსაყოფად ბათუმის მერიის გადაწყვეტილებას. ჩოხატაურის ნიკო ბერძენიშვილის მუზეუმში სათანადო ადგილს დაიჭერს პროფესორ იური სიხარულიძის ცხოვრება-

მოღვაწეობის ამსახველი არქივი. აჭარაში მოღვაწე ისტორიკოსების სწავლა-აღზრდისა და საერთოდ ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ იური სიხარულიძეს. ბატონი იური წლებში განმავლობაში მოღვაწეობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია მისი ნაშრომების ერთი ნაწილი. ბატონი იურის ნაშრომი: „სამცხის ონომასტიკონი (მასალები მესხურ გვარსახელთა შესწავლისათვის)“ იმდენად მაღალპროფესიულ დონეზე იყო შესრულებული, რომ პროფესორები

ნიკოლოზ ჭეიშვილი და პარმენ ცეკელი იძულებული გახდნენ მისი ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეზავნათ თბილისში. მკვლევარს ნაშრომში აღწერილი აქვს ადიგენის, ახალციხის. ასპინძის რაიონების გვარები. ფეხით შემოუვლია სამცხე-საათაბაგო, მოტანილი აქვს ცნობები თუ რომელ სოფელში რამდენი მესხური კომლია. ასევე მის მიერ შესწავლილია მდიდარი ფოლკლორული მასალა, ეპიტაფიები. ბატონი იური არ იზიარებს პროფესორ აჭარაძის და პროფესორ ილია აბულაძის მოსაზრებას გვარის წარმომავლობის შესახებ და ამ ტერმინის სპარსულ წარმომავლობას ასაბუთებს. მეცნიერის ნაშრომში „ახალციხის რაიონის ტოპონიმიკა“ შეტანილია ათასზე მეტი სახელი, მასში მოცემულია რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა, გამოკვლეულია ნასოფლარები, შესწავლილია ფოლკლორული მასალა და ა.შ ასევე აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ადიგენის რაიონის ტოპონიმიკა“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ნაშრომი „სამოვრებით სარგებლობის წესის საკითხისათვის საქართველოში“. ნაშრომში საუბარია აჭარის საზღვრულ სამოვრების (იაილა) შესახებ, დაზუსტებულია სამოვრებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ასევე ტყეებით და სამოვრებით სარგებლობის წესები. მის მიერ შესწავლილია ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში არსებული თურქული მიწისმფლობელობის და მიწისარგებლობის წესები.

ბატონი იური დიდებული ორატორი და მხატვრული სიტყვის დიდოსტატი იყო, რაზედაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მისი ნაშრომი „აჭარა უცხოელ დამპყრობთა

წინააღმდეგ ბრძოლაში“. გადმოცემით ზოგიერთ ამონარიდს ამ ნაშრომიდან, რომელშიც მხატვრულადაა აღწერილი ისტორიული მოვლენები. იგი გვიამბობს, რომ „მრავალი წლის განმავლობაში უმოწყალოდ გვარბია მტარვალმა. ჰოი! რა სისხლი დაიქცა, ჰოი! რა ნაშენი ქვეყანა გაოხრდა და გავერანდა?! მოძალადე დამპყრობლები მიღწეულით როდი კმაყოფილებოდნენ, ისინი ველურის გაშმაგებით ისწრაფვოდნენ ჩვენი მიწა-წყლისაკენ. მტრებმა ყოველი მხრიდან შეხუთეს ვეოდალურად დაშლილი ქვეყანა, გაიმარტოხელეს მისი ცალკეული ნაწილები, მაგრამ საქართველოს მოშლა ვერავითარმა ქართველმა ვერ შეძლო. საქართველო გადარჩა.“

პროფესორი იური სიხარულიძე ნაშრომში „უძველესი ცნობები ბათუმის შესახებ“ ეწინააღმდეგება ნოდარ ლომოურის და სიმონ ყაუხჩიშვილის აზრს, პეტრა-ბათუმის იდენტიფიკაციის შესახებ, რაც დღესაც მეცნიერთა სადისკუსიო საგანს წარმოადგენს. პროფესორი იური სიხარულიძე ამბობს, რომ ერთადერთი, რაც სათუოდ ხდის ამ დებულებას არის საკმარისად დაზოგვა ციხისძირსა და ბათუმს შორის, საძნელო საქმედ ჩანს კავშირის დამყარება ბათუმსა და ციხისძირს შორის. ასევე გასათვალისწინებელია მის მიერ წარმოდგენილი კონტრარგუმენტი, რომ აღნიშნულ პერიოდში ბათუმი არ მდებარეობდა იმ ადგილას, რომელიც დღეს მას უჭირავს. აღებული პერიოდისთვის ბათუმის მდებარეობა საძიებელია ყოროლისწყლის მიდამოებში და ამ მდინარის ჩრდილოეთით ვიდრე ჩაქვისწყლამდე. მეცნიერი ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებს ამ ორი კულტურული

კერის დამაკავშირებელ ზღვით მის-ასველელ გზას. პლინიუსის და არიანეს მიერ მოხსენიებული ბათის-ბათუს უნდა იყოს ყოროლისწყალი და არა მარტო მდინარე, არამედ როგორც დასახლებული პუნქტი, ნავსადგური. ამ მდინარეს სახელწოდება მიუღია მის შესართავში არსებული ღრმა ნავსადგურისგან. ბათუს ლიშენ ნიშნავს ღრმა ნავსადგურს. ბოლოს ბატონი იური დაასკვნის, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ ხანგრძლივ შესწავლას მოითხოვს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ამ სანაპირო ზოლის არქეოლოგიური შესწავლა. თუმცა ეს საქმე დღემდე გადაუწყვეტელია.

XX საუკუნის 60-იან წლებში თამარის ციხეზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, მაგრამ კაფერესტორნის მშენებლობამ ხელი შეუშალა ამ საქმეს. აქ უმნიშვნელო თიხის მასალა აღმოჩნდა. დღეს ამ ადგილას ეკლესია აშენდა. ამ უძველესი დასახლების არქეოლოგიური შესწავლა მომავლის საქმეა.

ბოლოს წარმოვიდგინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში არსებულ პროფესორ იური სიხარულიძის პირად არქივში დაცულ სამეცნიერო ნაშრომებს:

პროფ. იური სიხარულიძე

1. სამცხის ონომასტიკონი (მასალები მესხურ გვარ-სახელთა შესწავლისათვის);
2. ახალციხის რაიონის ტოპონიმიკა;
3. სამოვრებით სარგებლობის წესის საკითხისათვის საქართველოში;
4. აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში;
5. უძველესი ცნობები ბათუმის შესახებ.

**მმრავ მმრავილიშვილი**

## ილია ჭანუყვაძის ბახსენება



ილია ესესე ძე ჭანუყვაძე დაიბადა 1920 წლის 15 აპრილს ზემო გოგიეთში. სიმღერის ნიჭი ილიას ბავშვობიდან აღმოაჩნდა. ადრეულ ასაკში დაუახლოვდა ცნობილი მომღერალს – ვარლამ სიმონიშვილს და მალევე ვარლამმა მიიწვია თავის გუნდში. ილია კარგად ფლობდა ქართულ ინსტრუმენტებს: ჩონგურს, ფანდურს და ჭუნურს. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი მას უცდია თავისი ხელთ გაეკეტებინა ჭუნურის მსგავსი ინსტრუმენტი, რომელიც მე ილიამ მიიჩვენა როცა მასთან სტუმრად ვიყავი მისი ავადმყოფობის დროს.

ავადმყოფობა კი მას გაუჩნდა ქ. მოსკოვში – ლეკადაზე ყოფნის დროს 1938 წელს, როცა იგი მიწვეული იქნა საქართველოს

გაერთიანებულ ანსამბლში. ანსამბლმა მამინ კონცერტები გამართა კრემლში, რომელსაც იოსებ სტალინი ესწრებოდა.

მოსკოვის მკაცრმა ყინვებმა ილიას ფეხები მოუყინა და სამუდამოდ ხეიბარი დარჩა.

მე ინტერესი მქონდა შემესწავლა ამ კაცის შემოქმედებითი ცხოვრება. მამჩემიდან ვიცოდი, რომ ილია კარგი მომღერალი იყო. იგი როცა დაუძღურდა და შრომა ფიზიკურად აღარ შეეძლო დაიწყო ხელნაკეთობების კეთება, მათ შორის ჩუქურთმებიანი სკამები, საწოლები, ჩარჩოები და სხვა. მე იმ დროს ვესტუმრე ილიას როცა სავარძლებს აკეთებდა. ჩემთან ერთად იყვნენ ცნობილი მომღერლები, ილიას ნაცნობები და კოლეგები: ვასო აბაშმაძე და მიშა გოვოტიშვილი.

ილიას ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა. მე კი მითხრა ბიძია ტრისტან, ილარიონ სიხარულიძის შვილი სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო როგორც ხარო, ძალიან მინდოდა შენი გაცნობა, ბევრი მსმენია შენზე როგორც ახალგაზრდა მომღერალზე და მადლობა შენ რომ მეწვეე სტუმრად.

ძალიან ბევრი სიმღერა ვიმღერეთ, ცოტა ვსვით კიდევ გოგიეთის ადესა, თვითონ ილიამ გვითამადა და ხშირად საუბრის დროს იხსენებდა ვარლამ სიმონიშვილს და მის ღვაწლს ქართულ

ხელოვნებაში. აქებდა მამჩემს და მის პლეადას. აქებდა არტემ ერქომიშვილს და განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავდა ანზორ ერქომაიშვილის წვლილს ქართულ ფოლკლორში.

ბატონმა ილიამ ბოლოს თავის ხელნაკეთი პატარა სკამი თავისი ხელწერით მაჩუქა, რომელიც ახლაც მაქვს და სათუთად ვინახავ. ასეთი თვითნაკეთი სავარძელი ილიამ გაუკეთა ანზორ ერქომაიშვილს, რომელიც მაკვანეთის „საკალმახეზე“ შემოუტანეს ანზორს მისი დაბადების 50 წლის იუბილეზე, რომელიც სოფელ მაკვანეთში გადაუხადეს.

მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვიცნობდი ილიას, ბოლოს პირადად ვნახე ბატონი ილია ჭანუყვაძე, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში ჯერ საკუთარი იერით და შემდეგ კი გურულობით! ილია გარდაიცვალა 1995 წლის 24 აგვისტოს. დაკრძალულია სოფელ მაკვანეთში, ზემო გოგიეთში.

მადლობა მინდა გადავუხადო ილიას მისიშვილს, ზურაბ ჭანუყვაძეს, რომელმაც მომაწოდა ილიას მონაცემები და ფოტოსურათი.

ბედნიერია ერი, სადაც ასეთი პიროვნებები იბადება.

**ტრისტან სიხარულიძე**  
ხელოვნების ქურუმი

## მთისპირის საჯარო სკოლის ტრენინგ კურსის დასურვის ღონისძიება



ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოცხადებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგ კურსის დასურვის ღონისძიება მთისპირის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა.


კურსის მიზანი იყო, ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება განახლებადი ენერჯიების, გარემოსდაცვითი და პროფესიული ორიენტაციის შესახებ

1. სერტიფიკატი მთისპირის საჯარო სკოლის 23 მოსწავლემ მიიღო;
2. კურსის ფარგლებში ჩატარდა 6 შეხვედრა;
3. მოსწავლეებმა ექსკურსიის ფარგლებში მოინახულეს კინტრიშა ჰესი და პეტრას ციხე-სიმაგრე;
4. ტრენინგის მოწვეული სტუმარი იყო მწერალი, დავით ტურაშვილი;

5. ტრენინგს უძღვებოდა სამი ტრენერი: **გიორგი ბერეჩიკიძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი, **ქეთი ლობჯანიძე** - ფსიქოლოგი, „ინსაით“ ჯგუფის დამფუძნებელი და **HR მენეჯერი და სათუნა იოსავა** - საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი 2015 წლიდან. (დ)



# ქართული სოციალ-დემოკრატიის რევოლუციის დამარცხების უმძიმესი (1906-1907 წწ.)



## ნუ შავდები და ნუ შმსტვები

არის ვადამდე სწულდება – ვამბ, ხოლერა, სახადი. სამხრეთის ძალით გაგრძელებთან ხოლმე ეს სწულდება ხალხში, ვადაიან ერთი ადგილიდან მეორეში და ყველაფერ აუარებელი საფლავებით გაივსება ხოლმე ადგილები, სტირიან სახლობანი, იტანჯებიან უდანამულო ობლები. იყო დრო, როცა ხალხმა არ იცოდა იმითან ბრძოლა და მთელი ქვეყნები დაცარიელებოდა ხოლმე. მაგრამ ბევრის უბედურების გამოვლის შემდეგ ხალხმა ისწავლა ვადამდე სწოთან ბრძოლა და ეხლა ისინი ისე სამიში არ არიან იმისათვის, ვინც იცის იმითი ხევათი და თავს იზოვავს იმთავან.

მაგრამ არის სხვა ვადამდე სწიცი – სულიერი.\* ცუდი მაგალითები, ცუდი სწავლა, ცუდი ფურცლები და წიგნები. და რამდენადაც სული უმადლესა და უდიდებულესა სხეულზე, იმდენად სულიერი ვადამდე სწიცი სამიში და დამუდგელობა სხეულის სწიცი. ის კაცს სამუდამოდ და სუკუნოდ ლუპავს. ვინ არ იცის, რომ ეხლა ბევრს მოელო სულიერი ვადამდე სწიცი ცრუ ემსკურ სწავლისა? ბოროტი კაცნი, რომელთაც ღვთისადმი სარწმუნოება დაჰკარგეს, არა სწამთ მისი წმინდა კანონი, გარყვნილი, ზარმაცი, მამფოთარნი, მოწადინებულნი არიან, რომ ყველა იმით ჰვამდეთ. ისინი მაგალითითაც, სიტყვითაც და ფურცლებითაც (პროკლამაციებით) ყველას ეძახიან, რომ წინააღმდეგენ კლესიას, მეფეს, მთავრობას, არიებენ მუშებს, თავი დაანებეთ მუშობასა, ძალა დატანონ ამისათვის არა მარტო იმით, ვინც თანხმანი არიან ბოროტი კაცებისა, არამედ იმითაც, ვინც არ ეთანხმებან, ახლენენ შვითსა და ამბობენ. ესენი ხოცავენ და სცემენ იმით, ვინც იმით სწავლას არ მისდევს და ეს უგუნურები ალუთქავენ, რომ იმთავან ჩადენილის უწესობისაგან წესიერება დაადგება. ამისთანა უწესობის შემდეგ იხორცება ხალხი, როგორც ჭირისა და ხოლერისაგან, არის ტირილი სახლობებისა, სიღარიბე, მწუხარება და ვნება-წვალება.

დად სამწუხაროდ, ბევრი სცდებიან ამისთანა სწავლითა. ჭეშმარიტად დიდი უბედურობაა შეცდომამდე შეყვანა და თავის თავის შეცდომაც!

ვინ არის პირველი შეცდენილი? ემსკი. იმან შეყვანიან პირველი კაცნი სამოთხეში, დალუბა ისინი და მოუპო ნეტარება. ამიტომ ყველა მცოდნეებანი არიან შვილი, მსახურნი და შემწენი ემსკისა. ვინ არიან პირველი შეცოდებულნი? ადამი და ევა. იმის

ნაცვლად, რომ ყოფი მოერდებიან ემსკის შხამიან ლაპარაკისათვის, ქნდენ იმის დაბრუნებას, მონიღობეს ღმერთობა, გული ამპარტყვებით ავსოთ, დაარღვევს ღვთის ნება და მცნება, ამისათვის ისინი გამოიგებს სამოთხიდან და სუკუნოდ დაჰკარგენ ბედნიერება და თავის შვილებსაც, თავის ჩამომავლობასაც, ყველა ხალხს ღვთის რისხვა მაყენეს. აი, რა სამხრელება მინდობა მცოდნეებისა.

ეხლანდელი მცოდნეები,\* რომელნიც ხალხს ბოროტებას ასწავლიან და პირდებიან სხვა და სხვა სიკეთეს, ვან არა ჰვანან ემსკსა? ისინიც ასწავლიან ღმერთზე ძალა დაღვობის, ესენიც ასწავლიან, უარჰკავით მცნება და ღვთის ნება მეფისა და მთავრობის ბატონისა, ეკლესიის მწყემსთა მორჩილებისა, მშვიდობიან ცხოვრებისა შესახებ, მცნებას, რომ მოერდინნ ყველა უწესობას და ამბობენ. ისინი იბოროტენ იმსვე, რაც იდესმე ემსკს უთხრა პირველს კაცსა, როდესაც ჩაგონა ამპარტყვება ღვთის წინააღმდეგ და იმის მცნების ურჩობა.

დიდ არს ცოდვა მცოდნეობისა, ის მკვლელობაზე უარესა, იმდომ, რომ მკვლეული კაცის სხეულს ლუპავს, მცოდნეული კი ხორცსაც ლუპავს და სულსაც. დიდი ცოდვა შეიძლება სინანულით დაჰვაროს, მაგრამ შეკლიბ როგორ უნდა გასწორდეს? თვით მცოდნეებს შუქიან თვისი ცოდო შესწავლათ, შესწავლათ თვისი ბოროტი სიტყვანი და საქმენი, მაგრამ როგორ უნდა შესწავლათ ის იმ ხალხში, რომელიც მენ შეყვანილი? ეს კი შეუძლებელია. მენი ცოდნება ისეთია, როგორც ვადამდე სწიცი თესლი. ის იზრდება და იზრდება, ერთიდან მეორესთან ვადადის, ხოლო მხეზი ამისი მცოდნეებია. ერთი წმინდა მოძვარი ამბობს: „ცოდნება იფივეა, რაც მომხრეული სენი. მომხრეული სენი ერთის კაცში ვანდება, მერე მიღის სახლში, მიღის სოფელსა, მიღის ქალაქსა მოედება. ასევე ცოდნებაც. დაიწყება ერთ კაცში და იმისგან ბევრზე ვადადის“. ამიტომ ადვილად მისხვედრია, უფალი ისე სასტიკად რადა სჯის მცოდნეებს. „ვინ სოფელსა საცოთრისაგან, – ამბობს მცხოვარი ჩვენს სახარებაში, – მაგრამ ვინ იმ კაცსა, რომლისაგან მოვიდეს საცოთრი (მათი, XVIII, 7). „შვილები იყო ამისთვის, უკეთო წისქვილის ქვას დაიკიდებდა ქვას თვისსა და ჩაეღებდნ ზღვაში, ვიდრე არა დაბრკოლებდნ ერთს ამის მცოდნეთაგან“ (ლუკა, XVII, 2).

ეს დაიხსომონ უპატიოსნო მცოდნეებს ხალხისამ! გონს მოვიდნენ, სინამ დროს! დაანებონ თავი თავის ემსკურს მუშობას! მაგრამ როგორც

ეხლა ჭირისა და ხოლერის მორიდება ისწავლეს, ისე უფრო მეტად ჩვენს ხელით არის, მოვირდინეთ ცოდნებას.

კეთილ ადამიანთათვის აქ უფრო კაი შემთხვევა, ვანამტკიცონ თვისი სარწმუნოება, აჩვენონ თვისი სიმტკიცე, დაამტკიცონ ერთგულება ღვთის მცნების და ქვეყნიერის მეფის კანონისადმი. ნუ შესცდები, საყვარელნო, ბოროტთა სიტყვებითა, მტკიცეთ სდევით სარწმუნოებაზე, მხენ იყენით და განასტლიერდეთ (1 კორინთელთა მიმართ, XVI, 13), როგორც ბრძანებს სახარება. როდესაც ნახოთ მცოდნეები, ვაკიცხვ, ჩაგონე იმს ცალკე თუ არ გაიგონოს, წაიყვანე თან კიდევ ერთი ან ორი. თუ იმთავც არ გაუგონოს, უთხარი კრებულსა (მათი, XVIII, 15-16), ხოლო შემდეგ მოციქულის დარიგება ასრულე: მოსკეთ უკეთური შირის თქვენს (1 კორ. მიმართ, V, 13). მამინ მცოდნეებელი იყოს მენთვის, როგორც წარმართი და უცხო. მტკი ის სამართალში, მტკი მთავრობას, რომ არ დალუბოს უდანამულო ხალხი. მხენო! ღვთისა, ეკლესიის და მეფის გულისათვის, ერის ბედნიერებისათვის, თქვენთა ნათესავთა და მოყვასისათვის, თქვენის საყვარის ბედნიერებისათვის შერიდით უკეთურთა წინააღმდეგ, წინააღმდეგით იმით უღვთო სიტყვებსა. ნუ შესცდებით იმითის ცრუ დაბრუნებას. სარწმუნოებითა, ღვთისათვის, კეთილის სიტყვით, მწყემსთადმი მორჩილებითა შეიძვარეთ და დაიცვით ერთმანერთი სიკეთილემი, ღვთის ერთგულებამ, ეკლესიის, მეფის და მთავრობის და კანონის მორჩილებამ.

რამა მცოდნეთა ძალა? იმამ, რომ მცოდნეობა თვითონ მსხვერპლში აღბრინ არა წმინდა, კაცის დასაღუპავ ვნებებს, გამოიწვევენ კაცის გულში ყოველ სამაგელ სიბოროტეს, სიძულეს, მოძიბის სიკეთის შურს, გაუღობლობას, სიზარამცეს. რადგან ყოველ კაცისთვის შესაძლოა ცოდვა, ამიტომ ემსკი სცდილობს, რომ შეყვანიდნ კაცი და დაამკვიდროს ცოდვამ. და აი ცოდვას და ემსკს ემსახურებან ცრუ მასწავლებელნი – ერის მცოდნე. ცოდვილს ჰგონია, რომ უსაქმოა, მტრის დასჯა, მდიდარი კაცის ქანების წართმევა, მტკიცების დაღვობა სანამოხერა. მაგრამ ყოველ ჩვენგანს ხომ უწესი კარგაო, რომ მარტო ერთი წუთისთვის არის სასამოხერო ცოდვა, ცოდვა კაცის ცხოვრებას ვოჯოხითად აქცევს და არა დროს ცოდვა არ დარჩება დაუსჯელოდ, უპირველესად დასჯის ცოდვა მის მტრის. ცოდვა საწამლავია დატყობილებული, კაცს ტყობილად ქვეყნება, მაგრამ ტანჯვა მოსდევს ამ სიტყობებს და სიკვდილით თავდება.

რამა კიდევ მცოდნეთა ძალა? მასში, რომ მათი მოპოვებათ მოწვევნი. ნუ უგდებთ ყურს მცოდნეთა და განქრება მათი ძალა და თვითონაც განქრებან. აბ რა იქნებოდა, რომ უცებ გამოჩინებულყვენენ მქადაგებელნი და დაეწყათ ჩვენთვის ჩაგონება, რომ სპირო არ არის ჭამა, სმა, სუნთქვა. ამისთანა გაგიჟებულთ არავინ არ მოუსმინდა და უნდა თვითონვე საშუალოთ დაღუებუ-ლოყენენ.

ახლანდელნი ცრუ მასწავლებელნი სწორეთ ასევე იქცევიან. ივინი ვართმევენ სულიერ ცხოვრებას, სულიერ საჭმელს, სულიერ სასმელს და თვით ცხოვრების (ძარღვს) სუნთქვას – წმინდა სარწმუნოებას, ღვთის სჯულს, მშვიდობას, კეთილ განწყობას, საყვარელი და სახელმწიფო კეთილ წესიერებას. სულიერი სიკვდილით გაეწყვდები, თუ არ დაევიცავთ ამ საუნებეთა.

მანო, შეგნვეთ ეს და დაანებეთ თავი გაგიჟებულ მცოდნეთა ლაპარაკს. თქვენ თვითონ სავეთ. განიკითხეთ, რომ არ დაუღვათ შესარკოლებელი, ვინა საცოთრი ძმისა (რომელითამიმართ, XIV, 13).

**ამთილი სიტყვა მუშა ხალხსა** მუშაში! წმინდა ღვთისა წინაშე და საპატიოა კაცთა წინაშე თქვენი წილება.

იყო დრო ძველად, იესო ქრისტემდე, როდესაც შრომის ზიხლით უცქროდენ, როდესაც მუშებს პირუტყვებში არ არჩევდენ, როდესაც იმით ცოდვობდენ და ჰვიდენენ, როგორც ნივთსა. მაგრამ მცხოვარმა ჩვენმა, უფალმა იესო ქრისტემ მოიტანა ქვეყნად მშვიდობა და კურთხევა ღვთისა. იმან ასწავლა ხალხსა სიმართლე და მოწყალება, იმან დაიხსნა ისინი უკეთურობისა და ცოდვის უფლებისაგან. უწინარეს ყოვლისა კი ასწავლა სიყვარული სიღარიბისა, ბატონისკენ შრომისა. თვით ცხოვრობდა უბრალო და ღარიბ ხალხთა შორის. იმისი მამობილი იოსები უბრალო ღურგალი იყო. იმისი ღვდა მხნურ ხელსაქმეს მუშობდა. თვით იგი შევლოდა ოსებსა მუშობაში ოცდაათ წლამდე. იმისი მოციქულები მთევხენი იყენ. მოციქული პავლე, რომელიც ყველაზე გვიან შეუდგა მას, აკეთებდა კარავებსა.

ესრულ, მუშანი, წმინდა ვახდა ღვთის წინაშე და პატონადებელი ხალხის წინაშე თქვენი წილება. მაგრამ იკითხეთ, ყველა ეს როგორ შესრულდა? უხდა ქრისტე მცხოვარი მონებს საშვიორად ბატონების წინააღმდეგ? ასწავლიდენ მოციქულები მუშა ხალხს უკეთურობასა, ამბობენსა, შეთქულობასა და გავიცავსა? ასწავლიდენ ვანა მოციქულნი მუშებსა, ყველაფერი მითხვეთ ძალითა და ამბობენსა?

არა, საყვარელნო! ძველ სახელმწიფოებში ქრისტეანობადე მონები ყველა ამას მოახდენდენ ხოლმე ხშირად, ახლენდენ ამბობენსა, ადევნებენსა, მაგრამ რაც უფრო მეტად ჩადიდენ ამას, იმდენად უფრო ცუდს ყოფამ ვარდებოდენ, რადგანაც უკეთურობა უკეთურობას ჰხადებს. საქრისტიანოს მოძღვრები სხვანაირად მოქმედებდენ. ისინი ასწავლიდენ სიმართლესა და მოწყალებასა ბატონებსაც და მონებსაც. ისინი აღმობიერებდენ როგორც ერთის, ისე მეორეთა გულსა. ისინი ეუბნებოდენ, ბატონები და მონები ღვთის წინაშე თანასწორნი არიანო, იმდომ, რომ ქვეყანაზე სხვაგვარი თანასწორობა არ არის და არც იქნება. ისინი ამბობდენ, თავისუფლება აწინდელი არის ცოდვისა და ემსკისაგან წარმოძვარი თავის-უფლებათა. ამიტომ მინა შეიძლება იყოს თავისუფალი ღვთის წინაშე, ხოლო ბატონი იქნება მინა ემსკისა. ისინი ადიდებდენ და პატონსცემდენ იმ მონებსა, რომლებიც ცხოვრებით წმინდები იყენ და ქრისტესათვის იფენდენ. ამიტომ ქრისტეანე ბატონები ღვთისათა და მუხლის მოდრეკით ბატონს სცემდენ თვის მონებსა, რომლებსაც სიმინდელზე მიღწიათ. საქრისტიანო მოძღვარი ძალად არ უბრძანებდენ ბატონებს მონების დათხოვნას, არამედ ასწავლიდენ იმით სამართალსა და სწორსა მისცემით მონათა. უწყოდეთ, თქვენცა გავით უფალი ცათა მინა (კოლასელთა მიმართ, IV, 1). ქრისტეანე მოძღვრები არ აძლევდენ ნებას მონებს, ვაკეცოდენ ბატონებსა, თუქცა ისინი იმითთვის მუქად მუშობდენ. პირიქით ასწავლიდენ: მონანი, დაემორჩილებით უფალთა თქვენთა მიმართ და ძრწულით (ეფესელთა მიმართ, IV, 5). მინც რა მოხდა? მუშებმა და მთავრებმა მიღეს თუ არა ქრისტეანობა, ისინი თუ არა სახარების სიტყვა, დაიწყეს ზრუნვა მონებზე იმით თვით ბატონებმა დაიწყეს განთავისუფლება ეკლესიის მწყემსთა ჩაგონებითა, იმით მისცეს კვირა დღე, შეუმსუბუქეს მუშობა, იცავდენ ძლიერი მონებისაგან. მღუე თავის-თავად გაუქმდა მონობა, იმდომ, რომ ის, ეტყობა, ვინა თავსდება ქრისტეანობასთან. მუშა ხალხს დაუწყეს ქრათობა და არა სვიდვა. იმითსა და ბატონებს შორის თავისუფალი ხელმწიფობიანი ჩამოვარდა. მაგრამ ყველაფერი კეთდება უცხად კი არა, არამედ თანდათანობით. აი, თუნდ ხეზე ერთს დღეს ხომ არ გაიზრდება ნაყოფი; რომ დაუწყეთ ხეს ჩხინკილი, ერთს დღეს ვანდეს ფოთლებიც, ყვავილიც და

ნაყოფიცაო, მამინ ხე მოისპობა და ნაყოფს არ გამოიღებს. ჩვენს სამშობლოშიაც ქრისტეანე მეფენი და მმართველნი მუდამ ზრუნავდენ მუშა ხალხისათვის, გაათავისუფლეს კლესები ბატონ-ემობისაგან, მისცეს იმით მიწა, მისცეს თვითგამება, ფაბრიკებსა და ქარხნებში განსაკუთრებული მოხელენი დანიშნეს მუშებზე საზრუნავად. ეხლა მუშათა დაზღვევის საქმეს შეუდგენენ, მოხუცებაში იმით უზრუნველ ყოფას. თვით ხელმწიფემ ამ წლის იანვრის თვეში მიიღო თავის სასახლეში, ერთად იმითაი ილოცა და აღუთქვა, გააუზღოებსოს იმითი ბედი.

საქმე კეთილი, საქმე მუშებზე ზრუნვისა წინ მიდის და უცხადის იმით უკეთესს მომავალს, მაგრამ ამასხელს უშლიან უკეთური და ასწავლიან მუშებს შეითქვენ, გაივიცენ, აჯანყდენ, ადიდებენ. მუშა ხალხნი! ამას თქვენი მტრები სჩადან, მტერნი საზოგადოებისა და სახელმწიფოსა. იმით ემბინან, რომ მუშების ბედი კარგად მოეწვობა, რომ უკმაყოფილონი აღარ იქნებან, არც ღარიბნი და მშვირნი. იმით უნდათ ხელი შეუშალონ მუშათა ცხოვრების განკარგების წმინდა საქმესა, ხოლო ხელის შეშლა ადილით თქვენის გაფიცვითა, შეთქულობითა, აჯანყებითა და შვითითა. დაიხსოვით ეს, საყვარელნო! უნდა ხელიდან გამოვიღოთ თქვენ თქვენი ბედნიერება, თქვენი მოტყუება და დაღუპვა უნდათ. ნუ მოსტყვევებთ უკეთურთა სიტყვებითა, ნუ ვაკეცებთ იმითა. ვისთვის არის გამოსადევი შეთქულობა და გაფიცვა? ამითი საწყალს ხალხს სამუშაო აკლდება, საძრალი ოჯახობა ულუკამაჰროდ სხედან, ყველა საზოგადევი ბედობა, ბევრის ყოფა არ შეიძლება, ხორცსა და შურს არა ჰვიდენ, ან ჰვიდენ მამსისხლად. ვერც ფულს იმობენ და იმსაკ, რაც მთავროვე და შვი დღისთვის ვადსდენ, მღუე შემოსარგავ. ყველა ეს მხემე ტყობილად აწევბა იმვე მუშებსა, იმვე დატყობსა, რომელთაც უკეთური მოძღვრები პირდებან ათას სიკეთესა და რომელთაც არწმენენ სიყვარულსა და მზრუნველობაში. სტყვიან ისინი, იმით მხოლოდ შვითთა სურთ; ისინი ყოველზე კეთილისა, რომლის გაკეთება მთავრობას სურს, წინააღმდეგენ არან; ისინი მთავრობას ხელს უშლიან თავის მუშობაში. როგორც ქერდსა და მტაცებელს უნდა ღამე, ისე იმით უნდათ საერთო უკმაყოფილება, მაგრამ ვანა ეს ქრისტეანობაა, ადამიანობა?

მუშა ხალხნი! თქვენ ისე უვარდით ქრისტე მცხოვარსა ჩვენსა და მის წმინდა მოციქულებსა, თქვენი თვით მუდამ ზრუნვა და ღვთისუფლობა ეკლესია ღვთისა. თქვენგან ძველად რამდენი წმინდა და მართალი გამოვიდა, რომლებიც ჩვენ თავყანსა ვცემთ. ნუ შეურაცხყოფთ ქრისტე უფალს იმის სწავლის განდგომითა; თქვენს ყოფა-ცხოვრებას ნუ ავდებთ უხეირო მღვდმარობაში შვითითა და გაფიცვითა; ნუ ვაუკონებთ ბოროტს ხალხს; ნუ ეწინააღმდეგებით მეფესა და მთავრობას, რომ იზრუნონ თქვენთვის და კეთილად მოაწონ თქვენი ცხოვრება. წმინდა არს ღვთის წინაშე და პატონსცემელ ხალხთ წინაშე თქვენი წილება. ნუ გახდით მას შურცხვირილად. ნუ გემინნ უკეთურთა, ნუ გზურს იმითი, ვინც იქნს უსჯულოებასა, რამეთუ ისინი, როგორც ბაღასი, მღუე ვანხებან და ვითარცა მხალი მწვანლისა, ადრე დასცვივიან. ესევეთ უფალსა, ჰყავთ სიტყობა, დაემკიდრე ქვეყანაზე და იქარდე ტემპირიტებას. იშვებდ უფლისა მიმართ და მან მოეცეს მენ თხოვია გულისა მენისა. ნუ ვეზურნ მისი, რომელი წარმართებულ იყოს ვახსა მისსა, კაცის თანა, რომელი იქარდეს უსჯულოებას“ (ფსალმუნნი, 36).

(გაბრიელისა იმენბა)  
პასტაჩი ბურული  
(საქართველოს ახალი ისტორია  
(1801-1918) წიგნი 3; გვ: 462-465

# ოზურგეთში თემურ მებრელიშვილის პერსონალური გამოფენა გაიმართა



**ალიონი** 27 ივლისს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თემურ მებრელიშვილის (ლანჩხუთი, სუფსა) პერსონალური გამოფენა.

როგორც ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ აღნიშნა, გამოფენა განხორციელდა ჩვენი ცენტრის ერთერთი წარმატებული პროექტის, „ნიჭიერი მხატვრების წახალისება და ხელშეწყობა“, ფარგლებში და ეს ნიჭიერი მხატვარი ექსპოზიციაზე წარდგა სახვითი ხე-

ლოვნების თითქმის ყველა დარგის ასზე მეტი ნამუშევარი. ესაა ფერწერა, გრაფიკა, ხეზე კვეთა, ჭედურობა, ხალხური რეწვა.

ცნობილი მხატვრებმა ვახტანგ მამეიშვილმა, ავთანდილ თავარქილაძემ, თამაზ დარჩიამ ისაუბრეს ამ ნიჭიერი მხატვრის შრომისმოყვარეობაზე, პროფესიონალიზმზე, ჟანრობრივ მრავალფეროვნებაზე.

—თუკი ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები წარმატებულია, ამაში თავისი წვლილი ნიჭიერ მხატვარს თემურ მებრელიშვილს მიუძღვის. უღალატო

კაცია. მუდამ გვერდით მდგომი — თქვა გამოფენაზე ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა ვასილ ჩიგოვიძემ.

თემურ მებრელიშვილის სიტყვაში მრავალად იყო სიტყვა „მადლობა“ კოლეგების, მეგობრების მიმართ.

შემდეგ კი ცენტრის ექსტერიერში სახეიმიდ გაიხსნა ქვაში შესრულებული დეკორატიული ფიგურა - ფიროს მანი.

გამოფენა ერთ თვეზე მეტ ხანს გასტანს.

გამოფენას ესწრებოდა ინგლისელი ანტონიო სტობა-

როტი, რომელმაც გახეთ „ალიონთან“ განაცხადა: —მაკვანეთლების სიძე ვარ. მუდამ ნანა ინგოროვა და მე ოზურგეთში ჩამოსვლისას ყოველთვის მოვდივართ ვალერიაში. ახლა მთელი ოჯახი აქ ვართ, ჩემი შვილებიც ქრისტეფორი და ქეთრინი.. კარგი გამოფენაა, კარგი საზოგადოება. მე კარგად ვიცნობ მხატვარ ავთანდილ თავართქილაძისა და ვახტანგ მამეიშვილის ხელოვნებას, რამდენიმე ნამუშევარი შევიძინე კიდევ. კარგია, რომ თქვენს პატარა და ლამაზ ქალაქს ასეთი ვალერია აქვს.



## გურიის მხატვრების გამოფენა ქუთაისში



ქ. ქუთაისში, ვალერია „ვარლამ“ გურულ მხატვართა გამოფენა გაიმართა.

როგორც მედიასთან ინტერვიუს მხატვართა რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე ვალერიან

მემსარიაშვილმა აღნიშნა, ამ გამოფენაზე გურიიდან 30-მდე მხატვრის 80 - ნამუშევარია წარმოდგენილი. ესაა ფერწერა, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნება, ხალხური რეწვა. გამოფენა კარგად მიიღო ქუთაისი ხელოვნების მოყვარულებმა.

გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩიამ აღნიშნა, რომ ამ გამოფენაზე გურიის სამხე მუნიციპალიტეტის მხატვრებმა წარმოდგენილი, 80-ზე მეტი ნამუშევარი და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა

დარგია წარმოდგენილი. აქ არის სამი თაობის მხატვრები, მათ შორის დემოკრატებიც, რომლებიც კარგად წარმოდგენენ ამ გამოფენაზე.

— ტრადიციად იქცა, ხან ჩვენ ჩავვაქვს ჩვენი ნამუშევრები გურიაში, ხან ისინი ვესტუმრობენ. ასეთ ურთიერთობებში მეგობრობა მტკიცდება. კარგია, რომ დემოკრატებსაც მიეცათ საშუალება თავიანთი ხელოვნება აჩვენონ საქართველოს სხვა რეგიონში— განაცხადა ვახტანგ მამეიშვილმა.

### ჯულიანო!

ჩვენი ვახუთის ერთგულ გულშემოყვარულს, ახალგაზრდა მეცნიერს, სოფლის მეურნეობის აკადემიურ დოქტორს ბატონ ვახტანგ ბოგოლასს 80 წელი შეუსრულდა. ჯულიანო და ჯუსურჯეთ ვახანთელითა, ბედნიერებას და ღირსებას სიკეთეს.

## სოფელ მაკვანეთში ლამაზი საორტული ღონისძიება გაიმართა



**ალიონი.** სოფელ მაკვანეთის სპორტულ მოედანზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვედილი სახალისო თამაშების პროგრამით ბავშვებს სპორტული ინვენტარი დაურიგდა.

როგორც გურიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე დავით მუჯირმა გვითხრა, „ეს არის სახალისო თამაშების პროგრამა, რომელშიც ჩართული იქნა გურიის რეგიონი. მაკვანეთში ეს ღონისძიება ერთ-ერთი პირველი ჩატარდა. ამ ღონისძიების საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი მამუკა კვარაცხელია ატარებს, რომელიც ამ სამსახურის უფროსია.“

ჩამოიკიდა კარის ბადეები, ბიჭებს გადაეცათ ქართული ფეხბურთის ფედერაციის მისიურები, გოგონებს სახალისო მისიურები, ასევე გადაეცათ

ბურთები.

დღევანდელი ღონისძიებით სტადიონს გაუკეთდა რეკლამა, რის შემდეგაც შეიძლება გაკეთდეს ამ სტადიონის რეკონსტრუქცია და იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო სპორტული ბაზა შეიძლება გახდეს შეიძლება მოეწყოს ტაბლო, გაფართოვდეს მყურებლების დასაჯდომი ადგილები და აქ შეიძლება ჩატარდეს, როგორც სოფლის, ისე საქალაქო ტურნირები.“

**ბექა თოიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი: —ბატონი დავით მუჯირი მაკვანეთელია და გვიხარია, რომ დღეს კარგი საქმე გაკეთდა. 50-ზე მეტ ბავშვს გადაეცათ მისიურები და ბურთები.

როგორც ბატონი დავით მუჯირი შეგვხიბდა, ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია და მაკვანეთელ ბავშვებს კიდევ გაუკეთებს ახალ სიურპრიზებს.

## კობა კობახიძემ მსოფლიო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გუნდი

ნიდერლანდების სამეფოში, ქალაქ როტერდამში მიმდინარე

„პოლიციისა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადა 2022“-ში მონაწილეობას წარმატებით განაგრძობს. ქართველმა სამართალდამცველებმა საერთაშორისო ოლიმპიადაზე 4 ოქროს მედალი მოიპოვეს.

პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს უფროსი, **კობა კობახიძე** ძალიანძვიერ წოდებით, 120 კგ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდა და ოქროს მედალი მოიპოვა. კობა კობახიძეს სხვა არაერთი

საერთაშორისო სპორტული ტიტული აქვს მოპოვებული.

პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა და ოქროსმედალოსანი გახდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი გიგა ბერიაშვილი. მან ძიუდოში, 66 კგ წონით კატეგორიაში, ყველა მეტოქეს სძლია და ოქროს მედალს დაუფულა.

ამ ეტაპზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გუნდს „პოლიციისა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიადა 2022“-ზე 4 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული.

7 დღის ამინდის პროგნოზი							
მზა, ღრუბელი +17 +27	მზა, ღრუბელი +17 +27	წვიმა +17+26	წვიმა +17+27	წვიმა +16+24	ღრუბელი +16 +26	მზა, ღრუბელი +16 +26	მზა, ღრუბელი +16 +26
2 აგვისტო სამშაბათი	3 აგვისტო ოთხშაბათი	4 აგვისტო ხუთშაბათი	5 აგვისტო პარასკევი	6 აგვისტო შაბათი	7 აგვისტო კვირა	8 აგვისტო ორშაბათი	